პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
--მაისი 2025 წელი

ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის გენერალ-მაიორის ბორის გრიგოლაშვილის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს გენერალ-მაიორის ბორის გრიგოლაშვილის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **ზურაბ აბაშიძე**

1 : 279

სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

22 ვახტანგ გორგასლის ქუჩა
0114 თბილისი, საქართველო
+995 32 240 54 05
info@napr.gov.ge

27 / იანვარი / 2025 წ.

KA011734155203625

№ 17047

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ასლი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას

მოგახსენებთ, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო") 2024 წლის 5 ივლისს წარედგინა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის № 14-01241872147 (დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრაციის ნომერი: 173359/17) მომართვა - ქალაქ თბილისში, კალოუბნის ქუჩაზე მდებარე სამისამართო ობიექტების სისტემურ ნუმერაციასთან დაკავშირებით.

აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ნივთების მისამართების შესწავლისას დადგინდა, რომ კალოუბნის ქუჩის მიმდებარედ არსებული გზის რამდენიმე მონაკვეთი არ არის სახელდებული მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით (იხილეთ დანართი N1). ამასთან, უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, სახელწოდების არმქონე ქუჩების მიმდებარედ არსებულ რამდენიმე უძრავ ნივთს საიდენტიფიკაციო მონაცემად უფიქსირდებათ „კალოუბნის ქუჩა".

სააგენტოს სამისამართო რეესტრის სრულყოფის და მისამართების მონესრიგების მიზნით, გთხოვთ, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-4 პუნქტის „ა" და „ბ" ქვეპუნქტების შესაბამისად, გთხოვთ თქვენი კომპეტენციის ფარგლებში განიხილოთ და განახორციელოთ სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტების (ქუჩა, ჩიხი, შესახვევი, გასასვლელი) სახელდება.

დანართი: 1 (ერთი) გვერდი.

პატივისცემით,

სამისამართო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

ნინო ბახია

საჯარო რეესტრი
ეროვნული სააგენტო

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

სიტუაციური ნახაზი

N

მომზადების თარიღი: 27.01.2025

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოება
Georgian Military History Society
საქართველო, ქ.თბილისი
Georgia, Tbilisi
ნუცუბიძის ფერდობი, მე-3 მ/რ, მე-2 კვარტ.მე-9 კორპ.№ 44
☎: +995 595 85 32 13; +995 322 32 12 13;
ელ. ფოსტა: gigitidze.mambo@gmail.com

---

06 08 08/001
,,----,,----------2022 წ №---------

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს
ბატონ გიორგი ტყემალაძეს

პატივცემულო ბატონო გიორგი!

საქართველოს სამხედრო ისტორიის საზოგადოების და პირადად ჩემი სახელით მინდა გადაგიხადოთ უღრმესი მადლობა, რომ გულთან ახლოს მიიტანეთ ჩვენი თხოვნა და მიანიჭეთ თბილისის უსახელო ქუჩებს სამგორის რაიონში ჩვენი ქართველი სამხედრო მოღვაწეების სახელები (გენერალ-მაიორ **ზურაბ ნაირაშვილის, დავით მაისურაძის** და იუსტიციის პოლკოვნიკ **ჯემალ გოგიტიძის** სახელები), რითაც გარკვეული წვლილი შეიტანეთ ჩვენი ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საერთო საქმეში. გფარავდეთ უფალი თქვენს მიერ განსახორციელებელ ყველა სასიკეთო საქმიანობაში.

ამჯერად წარმოგიდგენთ შემდეგ ქართველ სამხედრო მოღვაწეებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ ქართული ჯარის მშენებლობის საქმეში, საქართველოს მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მიგვაჩნია, რომ მათი სახელების უკვდავყოფა აუცილებელია. წინასწარ გიხდით მადლობას.

დანართი: ხუთ (5) გვერდზე.

პატივისცემით,

საქართველოს სამ[illegible]
საზოგადოების თავ[illegible]
ისტორიის დოქტორი [illegible]

მამუკა გოგიტიძე

ბორის არკადის ძე გრიგოლაშვილი
(26.10.1933 -29.10.1993)
გენერალ-მაიორი (26.10.1993)

დაიბადა ქ.ტფილისში.
1956 წელს დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი.
1953-1989 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიაში. 1980 წელს მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება (1980). დაჯილდოებულია ,,საპატიო ნიშნის,, ორდენით.
1992 წლიდან მსახურობდა ქართულ ჯარში: ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსის პირველ მოადგილედ; ოპერატიული სამმართველოს უფროსად; 1993 ივლისიდან - თავდაცვის სამინისტროს **I** **საარმიო** **კორპუსის** **შტაბის** **უფროსად, კორპუსის** **სარდლის** **პირველ** **მოადგილედ.**
მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონი). მისი ხელმძღვანელობით დაიგეგმა და წარმატებით განხორციელდა რამოდენიმე სამხედრო ოპერაცია.
,,ერისა და სამშობლოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. თავდადებისა და თავგანწირვისათვის, სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლებში გამოჩენილი გმირული თავდადებისა და მამაცობისათვის, უნარიანი ხელმძღვანელობით უზრუნველყოფილი სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანაყოფების წარმატებისათვის, შემუშავებული და განხორციელებული საბრძოლო ოპერაციებისათვის" გენერალ-მაიორი ბორის გრიგოლაშვილი სიკვდილის შემდეგ **დაჯილდოვდა ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით (1993).**
გარდაიცვალა ქუთაისის სამხედრო ჰოსპიტალში, ბრძოლის ველზე მიღებული სასიკვდილო ჭრილობისგან. დაკრძალულია თბილისში.

P.S. ეს ის იშვიათი შემთხვევაა, როცა პიროვნება იყო წარდგენილი გენერლის წოდებაზე და ვერ მოასწრო ამის გაგება.

დაიღუპა 28 წლის წინ

პაატა ნასყიდას ძე დათუაშვილი
(05.08.1954-25.01.1995)
გენერალ-მაიორი (26.10.1992)

დაიბადა ქ.ყვარელში.
დაამთავრა თბილისის უმაღლესი სამხედრო-საარტილერიო სამეთაურო სასწავლებელი (1975), მოსკოვის კალინინის სახელობის სამხედრო-საარტილერიო აკადემია (1988).
1975–1985 წლებში საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა ბელორუსიის სამხედრო ოლქში, გერმანიაში საბჭოთა ჯარების ჯგუფში, შუა აზიის სამხედრო ოლქში, ავღანეთში.
1988–1990 ბაიკალისპირეთის სამხედრო ოლქში მეთაურობდა რეაქტიულ დივიზიონს.
1990-იანი წლების დასაწყისში მონაწილეობდა დამოუკიდებელი საქართველოს შეიარაღების ჩამოყალიბების პროცესში.
1991 წელს დაინიშნა საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული გვარდიის არტილერიის უფროსად.
1992 წლიდან იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის მოადგილე, **1992–1993** წლებში — II მექანიზებული კორპუსის მეთაური. **1993–1994** წლებში იყო საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე. შემდეგ სწავლა განაგრძო მოსკოვში გენერალური შტაბის აკადემიაში. დაიღუპა იქვე ტერორისტული აქტის დროს (ამავე თავდასხმის დროს მძიმედ დაიჭრა გენერალ-მაიორი გიორგი ყარყარაშვილი).
დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის **III** ხარისხის ორდენით **(1993).**

დაიღუპა 27 წლის წინ

ანატოლი მიხეილის-ძე კამკამიძე
(07.06.1936-23.06.1999)
გენერალ-პოლკოვნიკი **(15.12.1992)**

დაიბადა ქ. ჟმერინკაში, უკრაინა, სამხედრო მოსამსახურის ოჯახში.
დაამთავრა საშუალო სკოლა და ჩააბარა გამოცდები ოდესის ვოროშილოვის სახელობის სამხედრო სასწავლებელში 1954 წელს.
1957 წლიდან მსახურობდა გერმანიაში, საბჭოთა ჯარების ჯგუფში ოცეულის მეთაურად, ასეულის მეთაურად.
1967 წლამდე მსახურობდა კიევის სამხედრო ოლქში.
1967-1970 წლებში სწავლობდა მოსკოვში, ფრუნზეს სახელობის სამხედრო აკადემიაში.
1970 წელს დაინიშნა მოტომსროლელთა პოლკის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1972 წელს მოტომსროლელთა პოლკის მეთაურად.
1973 წელს დაინიშნა დივიზიის მეთაურის მოადგილედ, ხოლო 1974-1981 წლებში მსახურობდა 41-ე მოტომსროლელთა დივიზიის მეთაურად მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში.
1974 წელს მას ვადაზე ადრე მიენიჭა პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.
გენერალ-მაიორი (1975).
1981 წლიდან მსახურობდა კარპატისპირეთის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის საბრძოლო მომზადების სამმართველოს უფროსად.
1984-1991 წლებში მსახურობდა ამავე ოლქის სარდლის მოადგილედ საბრძოლო მომზადებაში. **გენერალ-ლეიტენანტი (1984).**
1992 წლის სექტემბერში ჩამოვიდა საქართველოში ედუარდ შევარდნაძის მოწვევით და დაინიშნა თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ.
1992 წლის 30 ნოემბერს დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლად.
საბჭოთა არმიაში სამსახურისთვის დაჯილდოებულია 3 ორდენით.
გარდაიცვალა და დაკრძალულია ქალაქ ლვოვში.

P.S. ანატოლი კამკამიძე ერთადერთია დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში- გენერალ-პოლკოვნიკის უმაღლესი სამხედრო წოდების მქონე პირი.

გარდაიცვალა 23 წლის წინ

ავთანდილ ლევანის-ძე ცქიტიშვილი
(26.07.1950-06.12.2013)
გენერალ-მაიორი (12.08.1992)

დაიბადა ქ. სარვანში (1957 წლიდან ქ. მარნეული).
1969-1972 წწ. სწავლობდა თბილისის უმაღლეს სამეთაურო სამხედრო საარტილერიო სასწავლებელში;
1978-1981 წლებში სწავლა განაგრძო ლენინგრადის საარტილერიო აკადემიაში.
1972-1991 წწ. მსახურობდა საბჭოთა არმიაში სხვადასხვა სამეთაურო თანამდებობაზე.
1986-1989 წწ. მსახურობდა 129-ე დივიზიის საარტილერიო პოლკის მეთაურად;
1989-1991 წწ. საქართველოს სსრ სამოქალაქო თავდაცვის შტაბში;
1989 წელს აქტიურად ჩაერთო ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობაში. იყო ეროვნული გვარდიის ერთ-ერთი დამაარსებელი.
1990 წელს, საქართველოს ეროვნული გვარდიის-შინაგანი ჯარების ჩამოყალიბების დღიდან, პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას წინადადებით დაანება თავი სსრკ შეიარაღებული ძალების შემადგენლობაში მოღვაწეობას და დაინიშნა ახალი საქართველოს I ბრიგადის პირველ მეთაურად: დაევალა მისი ჩამოყალიბება და დაკომპლექტება;
1991 წლის აგვისტოდან მსახურობდა – ეროვნული გვარდიის სარდლის პირველ მოადგილედ;
1992 წლის იანვრიდან მსახურობდა – თავდაცვის სამინისტროს მთავარი საბრძოლო სამმართველოს უფროსად.
1992 წლის თებერვლიდან მსახურობდა – შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის უფროსად;
1993 წლის მაისიდან მსახურობდა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსად, საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველ მოადგილედ; აქტიურად მონაწილეობდა სამხედრო აკადემიის ჩამოყალიბებაში. მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის წარმოებულ სამხედრო მოქმედებებში.
1993 წელს სოხუმის დაცემის შემდეგ გადადგა დაკავებული თანამდებობიდან;
1996 წელს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის თხოვნით დაბრუნდა სამსახურში სასაზღვრო ძალების შტაბის უფროსად;

1999 წლის სექტემბერში კვლავ დაანება თავი სამსახურს და გახდა ვეტერანთა მოძრაობის აქტიური წევრი და ერთ-ერთი ლიდერი.
2013 წლიდან დაინიშნა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის უფროსის მრჩევლად.
დაჯილდოებულია
ღირსების ორდენით (1999); ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით -,, საქართველოს სასაზღვრო ძალების აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისათვის, უმწიკვლო სამსახურისა და მაღალი პროფესიონალიზმისათვის,, (1999).
გარდაიცვალა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას.
დაკრძალულია თბილისში, საბურთალოს სასაფლაოზე.

P.S. საქართველოს უახლესი სამხედრო ისტორიის თვალის ერთი გადავლებითაც ნათლად ჩანს გენერალ ავთანდილ ცქიტიშვილის როლი სამხედრო საქმეში. მას შემდეგ რაც საქართველომ დამოუკიდებლობის გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო, ის არაერთი სახელმწიფოებრივად მნიშვნელოვანი საქმის, სასიკეთო წამოწყების სათავეებთან იდგა. 1991 წელს, მთავრობის დავალებით, სხვა ქართველ ოფიცრებთან ერთად, დაიწყო შეიარაღებული ძალებისთვის საფუძვლის ჩაყრა. სწორედ მას ერგო პატივი 1991 წლის 26 მაისს, თბილისის ,,დინამოს,, სტადიონზე გამართული პირველი ეროვნული სამხედრო აღლუმის სარდლობა.

გარდაიცვალა 9 წლის წინ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-032515027
თარიღი: 30/05/2025

მიმართავს: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ნინო ბაგაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამისამართო დეპარტამენტის უფროსის ნინო ბახიას 2025 წლის 27 იანვრის საქმე #06-0325027137-03 დაკავშირებით, რომლითაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის N 14-01241872147 განცხადების საფუძველზე მოთხოვნილია სამგორის რაიონში, კალოუბნის ქუჩასთან მდებარე უსახელო გეოგრაფიული ობიექტების სახელდება.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი დანართისა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 3 (სამი) გვერდი.

ლევან აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიცირი
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ბორის გრიგოლაშვილი

(1933- 1993)

ქართველი სამხედრო მეთაური, გენერალ-მაიორი

დაამთავრა თბილისის სამხედრო სასწავლებელი (1956). მსახურობდა საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში (1953-1989), ჰქონდა პოლკოვნიკის წოდება (1980), დაჯილდოებულია 3 ორდენით და 14 მედლით.

1992 წლიდან თებერვლიდან იყო ქართულ არმიაში: საქართველოს ეროვნული გვარდიის მთავარი სამმართველოს შტაბის უფროსის პირველი მოადგილე, ოპერატიული სამმართველოს უფროსი, 1993 ივლისიდან — საქართველოს თავდაცვის სამინისტროს I საარმიო კორპუსის შტაბის უფროსი, კორპუსის სარდლის პირველი მოადგილე.

1992-1993 წლებში ბორის გრიგოლაშვილი მონაწილეობდა საომარ მოქმედებებში აფხაზეთსა და სამაჩაბლოში (ცხინვალის რეგიონი). მისი ხელმძღვანელობით დაიგეგმა და წარმატებით